

„კლდის ფრაქციები, ნიადაგი და მცენარეთა მიკროდაჯგუფებების განაწილების კანონზომიერება ცენტრალურ კავკასიონზე“

თამარ ჯოლოხავა

E-mail: tamarjolokhava@yahoo.co.uk

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია“
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თბილისი, 0179, საქართველო

მაღალმთა სტრეს-დომინანტური გარემოა და სიმაღლის მატებასთან ერთად მცენარეზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორების სტრესული ზემოქმედება იზრდება. ჩვენს მიერ გაანალიზდა გერგეთის მცენარის მიდამოებში (ყაზბეგის რ-ნი, ცენტრალური კავკასიონი) ჰიფსომეტრულ (3000–3900 მ ზღ. დ.) და ექსპოზიციურ (N, S) გრადიენტებზე მცენარეულობის სივრცითი განაწილება. კერძოდ, ნაჩვენები იქნა რომ მცენარის პროექციული დაფარულობა მცირდება სიმაღლის მატებასთან ერთად და ეს შემცირება უფრო მეტად გამოხატულია სამხრეთ ექსპოზიციაზე, ამასთანავე მცირდება ნანოცენოზების რიცხვი, მაგრამ ექსპოზიციებს (N-S) შორის მკვეთრი სხვაობა არ ვლინდება. კვლევაში გამოყენებულ იქნა სოლიტარული სახეობების პროცენტული წილის სადაც მკვეთრად აისახა ნივალურ სარტყელში სოლიტარული მცენარეების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი.

სუბსტრატის pH-ი სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება და ზღ.დ-დან 3600-3900 მ-ზე სადაც სუბსტრატი დედაქანის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი – მკვეთრად გამოხატული ტუტე რეაქციაა, პარალელურ რეჟიმში მცირდება საკვები ელემენტების (N, P, K) შემცველობა და ეს შეინიშნება ტრანსექტის ორივე (N-S) მხარეს.

კვლევის მეორე საკითხი მოიცავდა ნანორელიეფის შესწავლას. მალიმიტირებელ ფაქტორთა მთელი კომპლექსიდან, რაზედაც უდიდეს გავლენას ახდენს ნანორელიეფი სვანეთისა და ყაზბეგის რეგიონებში (მთ. გეგეთი და მთ.

თეთნულდი ზღ.დ-დან 3000-3100 მ-სიმაღლის, N-S ექსპოზიცია) შესწავლილ იქნა სუბსტრატის ფრაგმენტების განაწილების კანონზომიერება და გამოვლენილ იქნა სახეობების კორელაცია სუბსტრატის ტიპებთან მიმართებაში.